პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 2 (497) კვირა, 6 იანვარი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

ბაკურიანი. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მეთხილამურე ა. ფილატოვი ტრასაზე.

მაღალ დონეზე ჩატარებული ზამთრის სპორტული სეზონი! მოვამზადოთ მშთ კომპლექსის ნიშნოსნები და თანრიგოსნები სპორტის ზამთრის სახეებში!

ახლოვდება მასობრივი სათხილამურო კროსი

ახლოვდება პროფკავშირულ-კომკავშირული მასობრივი საკავშირო სათხილამურო კროსის პირველი ეტაპი: 23 იანვარს დაიწყება პირად-გუნდური ასპარეზობანი წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთა პირველობაზე.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში ერთხელ კიდევ აქვს გასმული ხაზი ზამთრის სპორტული სეზონის ამ ყველაზე უფრო მასობრივი ღონისძიების უდიდეს მნიშვნელობას.

ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებია დასახული. პროფკავშირულ-კომკავშირული მასობრივი საკავშირო სათხილამურო კროსის მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარება ფრიად სერიოზულ მოსამზადებელ მუშაობას მოითხოვს და საჭიროა აქედანვე ენერგიული, გეგმიანი საქმიანობის ფართოდ გაშლა. სამწუხაროდ, ბევრგან ფიქრობენ, რომ კროსის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი და კროსისათვის სამზადისით თავს არ იწუხებენ.

ასეთი უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის გამო წინა წლებში ძალიან სავალალო შედეგები მოვიმკეთ. ნუთუ გასული წლების შეცდომებმა ჭკუა ვერ ასწავლეს სამხრეთ ოსეთის ოლქის, ქედის, ხულოს, ბორჯომის, ზემო სვანეთისა და სხვა რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს? ფიზკულტურის რაიონული კომიტეტების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, ძირეული კოლექტივების გადაუდებელი ამოცანაა უქმად არ გააცდინონ არც ერთი საათი, არც ერთი დღე და ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებას.

მასობრივი საკავშირო სათხილამურო კროსი ტრადიციად იქცა ჩვენს ქვეყანაში. და მით უფრო შეუწყნარებელია ის გარემოება, როდესაც გასული წლების შეცდომებს უგულებელყოფენ, ივიწყებენ, ანგარიშს არ უწევენ და საბოლოოდ, კვლავ იმეორებენ.

მაგალითად, იყო შემთხვევები, როდესაც ფიზკულტურული ორგანიზაციები, გატაცებულნი მასობრივობის დევიზით, „ადმინისტრაციული“ წესით უკეთებდნენ „მობილიზაციას“ ახალგაზრდა სპორტსმენებს და ყოველგვარი წინასწარი საწვრთნელი ვარჯიშის გარეშე გამოჰყავდათ ისინი კროსის სტარტზე. ამგვარი ფიზკულტურული ორგანიზაციები საჭიროდაც კი არ თვლიდნენ მეთხილამურეთა წინასწარ საექიმო შემოწმებას, მათთვის საჭირო მეთოდური ახსნა-განმარტების მიცემას და სხვ.

მთელი რიგი ფიზკულტურული ორგანიზაციები უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ სათხილამურო კროსის მოწყობის საკითხებს. იყო შემთხვევები, როდესაც ცუდად იყო აღნიშნული კროსის ტრასა, შეჯიბრების დროს ყურადღება არ ექცეოდა მონაწილეთა კონტროლს და სხვ.

ყოველივე ეს შედეგი იყო იმ უდარდელი და გულგრილი დამოკიდებულებისა, რასაც იჩენდნენ ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები კროსის მომზადებისა და ჩატარებისადმი. გასული წლების შეჯიბრებათა შეცდომები წელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამეორდეს.

საჭიროა აქედანვე გაიშალოს კროსში მონაწილეთა სისტემატური, გეგმიანი სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიში საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით. ამავე დროს, კარგი იქნება თუ ამ საქმეში მივიზიდავთ გამოცდილ მეთხილამურეებს — სპორტის ოსტატებს, პირველთანრიგოსნებს. სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშის გრაფიკის შედგენისას ზუსტად უნდა გავითვალისწინოთ არსებული სპორტული ინვენტარი — თხილამურები, სათხილამურო ფეხსაცმელი და სხვ. ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს იმ ვარაუდით, რომ ყოველმა მეთხილამურემ კროსის სტარტზე გასვლამდე გაიაროს არანაკლებ 8-10 ვარჯიში.

ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ახლა უკვე უნდა ჰქონდეთ ზუსტად შემუშავებული გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ მონაწილეთა რაოდენობას, შეჯიბრების სარბიელის შერჩევასა და მომზადებას, მსაჯთა კოლეგიების დაკომპლექტებას.

ამავე დროს, ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ვალია, რაც შეიძლება ქმედითი პროპაგანდა გაუწიონ სათხილამურო კროსს და მიიზიდონ მასში მოსახლეობის ფართო ფენები.

საკავშირო მასობრივი სათხილამურო კროსი სპორტის ამ მიმზიდველი სახის აგიტაციის ახალ, მძლავრ საშუალებად უნდა მოგვევლინოს. ასეთია ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანა, რომლის წარმატებით გადაჭრა მოითხოვს ენერგიულ, გეგმიან, თანმიმდევრულ მუშაობას.

☆

ფეხბურთის 1952 საკავშირო ჩემპიონატის შესახებ

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა გუნდების თამაშის კლასის ამაღლების მიზნით სსრ კავშირის 1952 წლის საკავშირო გათამაშება „ა“ კლასში გაიმართება ერთ წრედ და ყველა მატჩი ჩატარდება ქ. მოსკოვში. ეს საშუალებას მისცემს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდებს სისტემატურად აწარმოონ სერიოზული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, რასაც წინათ ხელს უშლიდა ხანგრძლივი მოგზაურობა ქალაქიდან ქალაქში. ამავე დროს, წლევანდელი კალენდარი საშუალებას მისცემს ოსტატთა გუნდებს ჩაატარონ ამხანაგური შეხვედრები ჩვენი ქვეყნის მსხვილი სამრეწველო ცენტრების ფეხბურთელთა გუნდებთან, ავრეთვე წარმატებით გამოვიდნენ სხვა საპასუხისმგებლო ასპარეზობებში.

„ბ“ კლასის გუნდების პირველობა გაიმართება საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქში.

ტოკიო

კიოდოს საგენტოს მთავარ რედაქტორს ბატონ კიისი ივამოტოს

პატივცემულო ბატონო კ. ივამოტო! მივიღე თქვენი მომართვა, რითაც მთხოვთ საახალწლო წერილი გამოვუგზავნო იაპონელ ხალხს.

საბჭოთა მოღვაწეებს არა აქვთ ისეთი ტრადიცია, რომ უცხო სახელმწიფოს პრემიერი მიმართავდეს სხვა სახელმწიფოს ხალხს და გამოთქვამდეს მისდამი თავის სურვილებს. მაგრამ საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი თანაგრძნობა იაპონელი ხალხისადმი, რომელიც უბედურებაში ჩავარდა უცხოელთა ოკუპაციის გამო, მაიძულებს წეხიდან გამონაკლისი გავაკეთო და დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა.

გთხოვთ გადასცეთ იაპონელ ხალხს, რომ მე ვუსურვებ მას თავისუფლებასა და ბედნიერებას, რომ ვუსურვებ მას სრულ წარმატებას თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მამაცურ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა წარსულში თვითონ განიცადეს საშინელებანი უცხოელთა ოკუპაციისა, რომელშიც მონაწილეობდნენ იაპონელი იმპერიალისტებიც. ამიტომ მათ სავსებით ესმით იაპონელი ხალხის ტანჯვა, დიდად თანაუგრძნობენ მას და სჯერათ, რომ იგი მიაღწევს თავისი სამშობლოს აღორძინებასა და დამოუკიდებლობას ისევე, როგორც ამას მიაღწიეს თავის დროზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა.

ვუსურვებ იაპონელ მუშებს თავი დაიღწიონთ უმუშევრობისა და დაბალი ხელფასისათვის, მოესპოთ მახობრივი მოხმარების საქონლის მაღალი ფასები და მოეპოვებინოთ წარმატება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ვუსურვებ იაპონელ გლეხებს თავი დაიღწიონთ უმიწობისა და მიწის სიმცირისათვის, მოესპოთ დიდი გადასახადები და მოეპოვებინოთ წარმატება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ვუსურვებ მთელ იაპონელ ხალხს და მის ინტელიგენციას იაპონიის დემოკრატიული ძალების სრულ გამარჯვებას, მათი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გაცხოველებასა და აღმავლობას, ეროვნული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების აყვავებას და წარმატებას მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

პატივისცემით

ი. სტალინი

1951 წლის 31 დეკემბერი.

მზისა და თოვლის სამყაროში

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქაურ მაცხოვრებლებს დიდი ხანი არ ახსოვთ ასეთი შესანიშნავი ზამთარი. თბილა, და მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ბრწყინავენ ღრმა თოვლით დაფარული მინდვრები, ფერდობები, ხევები, მწვერვალები, ქათქათა თოვლით დახუნძული ნაძვის ხეები და ფიჭვები... არაჩვეულებრივი სიხალისე და აღმაფრენა ეუფლება აქ ადამიანს, მზისა და თოვლის თვალისმომჭრელ სამყაროში, კოხტა სოფელში, რომლის სახელი ამ ბოლო წლებში ფართოდ გახდა ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ.

ბაკურიანი... ეს პატარა სოფელი გახდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მეთხილამურეთა საყვარელ ადგილად. წელს აქ მეხუთედ შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები ზამთრის სეზონის აღსანიშნავად ტრადიციული ასპარეზობისათვის.

ბაკურიანის ასპარეზობათა მუდმივი მონაწილენი არიან სლალომისა და სწრაფდაშვების, ტრამპლინიდან ხტომისა და ორჭიდის ცნობილი ოსტატები ა. ფილატოვი, დ. როსტოცევი, ი. სკვორცოვი, ე. სამოხვალოვი, ე. სიდოროვა და სხვები.

ახლაც, 2-დან 4 იანვრამდე მწვავე შეჯიბრებათა მოწმენი გახდნენ კოხტავორა, ბაკურიანის ველები და 70-მეტრიანი ტრამპლინი. უძლიერესთა ასპარეზობამ ბაკურიანელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

სლალომის ტრასაზე

შეჯიბრებაში პირველნი სლალომის ოსტატები ჩაებნენ. სლალომი — ეს მთის ციცაბო ფერდობებზე რბოლაა, რომლის ტრასა გართულებულია ხელოვნური დაბრკოლებებით — ჭიშკრებით. სლალომისტი აქ ამჟღავნებს არამარტო სიმამაცეს, არამედ სპრინტერის სისწრაფეს, აკრობატის მოქნილობას, ჰოკეისტის სიმარჯვეს.

ყველაზე უკეთ ამ ხერხს შესანიშნავად ფლობს სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ა. ფილატოვი (მოსკოვი). ორივე ცდის შემდეგ ირკვევა, რომ ფილატოვის დრო — 51,7 და 51,3 საუკეთესოა. მეორე ადგილზე გამოდის

★

სსრ კავშირის უძლიერეს სამთო მეთხილამურეთა V ტრადიციული ასპარეზობა

★

ფილატოვის მუდმივი მეტოქე, სპორტის ოსტატი დ. როსტოცევი (ცდსა), შედეგით — 52,0 და 51,7.

როსტოცევის რეკორდი

სამაგიეროდ, შემდეგ სახეში — სწრაფდაშვებაში როსტოცევი ახერხებს რეკორდის აღებას. სლალომისაგან განსხვავებით, სწრაფდაშვების ტრასა უფრო სწორია, რაც მეტი სისწრაფის განვითარების საშუალებას იძლევა. აქ ფილატოვს ბედმა უმტყუნა: დისტანციის თავშივე იგი დაეცა და დაჰკარგა არა მარტო ძვირფასი დრო, არამედ დაქანების ინერციაც. მისი დრო (1:14,0) მხოლოდ მეექვსე გამოდგა.

გამარჯვებულმა როსტოცევმა აჩვენა 1:12,2. არმიელს მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა მისი ახალგაზრდა მოწაფე, პირველთანრიგოსანი ვ. მელნიკოვი. მესამე ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი ვ. პრეობრაჟენსკი (მოსკოვი).

ქალთა შეჯიბრება

ქალთა შორის ამ სახეებში გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ერთ-ერთმა „უხუცესმა“ სამთო მეთხილამურემ ა. ბასალოვამ (ცდსა). მიუხედავად თავისი ასაკისა (იგი 38 წლისაა), ბასალოვამ შესანიშნავი ოსტატობის, გამარჯვებისადმი მტკიცე ლტოლვისა და მამაცობის წყალობით უკან ჩამოიტოვა თავისი ახალგაზრდა მეტოქეები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბასალოვა კვლავ წარმატებით მონაწილეობს ისეთ რთულ სახეში, როგორიცაა მოტოსპორტი.

მარცხით დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, მოსკოველი ე. სადოროვას გამოსვლები: სლალომის ორივე ცდაში იგი რამდენჯერმე დაეცა, ხოლო სწრაფდაშვების ტრასის გავლისას მან გამოუშვა ერთი ჭიშკარი, რისთვისაც მოიხსნა ამ სახეში შეჯიბრებიდან.

ნახტომი 72 მეტრზე

ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებმა. პირველი ადგილისათვის ბრძოლა გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონ ე. სამოხვალოვსა (სვერდლოვსკი) და საკავშირო შეჯიბრებებში მრავალგზის გამარჯვებულ ი. სკვორცოვს (მოსკოვი) შორის. ეს ორივე სპორტსმენი ბრწყინვალედ ფლობს ხტომის ტექნიკას და სტილში მუდამ მაღალ შეფასებას იმსახურებს. ასე, რომ პირველობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა ნახტომის სიგრძეს.

პირველი ცდა. სკვორცოვის შედეგია 68,5 მეტრი. სამოხვალოვი ½ მეტრით ჯობნის მას. ეს შედეგი დიდხანს რჩება დაუძლეველად. ბოლოს, მეორე ცდისას, ორი ახალგაზრდა მოსკოველი ბ. შენაევი და გ. ეფიმოვი იმეორებს სვერდლოვსკელის შედეგს, ხოლო სკვორცოვი ამყარებს ბაკურიანის ტრამპლინის ახალ რეკორდს: ხტება 72 მეტრზე! (უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზობის დაწყებამდე, წვრთნის დროს სკვორცოვი გადახტა 76 მეტრზე).

სამოხვალოვი ამ ასპარეზობისას ორჭიდშიც მონაწილეობდა და მისი ეს შედეგი ორჭიდის ჩათვლაში შევიდა (ორჭიდი აგრეთვე შეიცავდა რბენას 18 კილომეტრზე). სამოხვალოვმა კარგად გაირბინა 18 კილომეტრი და ორჭიდში პირველობა დაისაკუთრა. მეორე ადგილი ერგო მ. ტურკოვს, მესამე — ბ. კუსტოვს (ორივე ლენინგრადიდან).

ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სამთო მეთხილამურეთა V ტრადიციული ასპარეზობა დამთავრდა. სეზონის დასაწყისში ნაჩვენები მაღალი შედეგები მეტყველებენ, რომ ზამთრის მომდინარე სეზონში სსრ კავშირის სპორტსმენები ახალ, უფრო დიდ წარმატებებს მოიპოვებენ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მოხდა გამარჯვებულთა დაჯილდოება.

ბ. არტემიძე



როგორც ვიუწყებოდით, ბაქოში ამას წინათ გამართულ საკავშირო შეჯიბრებისას ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა პენზელმა შტანგისტმა, სპორტის ოსტატმა ა. ნიკულინმა (მსუბუქი წონა). მან ორი ხელით აწია შტანგა, რომელიც იწონიდა 112 კილოგრამს. ხურათზე: ნიკულინი მსოფლიო რეკორდის დამყარების მომენტში.

ფოტო ბ. პუშკინისა (საკლესი).

ორგანიზებულად მოვანყოთ სათხილამურო კროსი

ახლოვდება საკავშირო პროფკავშირულ-კომკავშირული მასობრივი კროსის დაწყების ვადა — 23 იანვარი. სპორტული ზამთრის ამ ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებისათვის მთელ ჩვენ ქვეყანაში აქტიური სამზადისი გაიშალა.

პროფკავშირულ-კომკავშირული მასობრივი სათხილამურო კროსი მიზნად ისახავს სათხილამურო სექციების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მშთ I და II საფეხურის ნორმოსანთა მომზადებას, მეთხილამურე თანრიგოსანთა რიგების ზრდას, სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

კროსის პირველ ეტაპზე — 23 თებერვიდან 13 თებერვლამდე — შეჯიბრებები ჩატარდება ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საშუალო და უმაღლესი სკოლების, კოლექტივთა პირად-გუნდურ პირველობაზე.

13 თებერვლიდან 23 თებერვლამდე ჩატარდება შეჯიბრებები ქალაქებისა და რაიონების გუნდებს შორის.

კროსის პროგრამაშია: 14-15 წლის გოგონებისათვის რბოლა 2 კილომეტრზე; ამავე ასაკის ჰაბუკებისათვის გათვალისწინებულია 3-კილომეტრიანი დისტანცია. 16-18 წლის ქალთათვის შეჯიბრება ჩატარდება 3 და 5 კილომეტრზე, ვაჟთათვის — 10 და 18 კილომეტრზე.

გუნდურ ჩათვლაში შედა მშთ I და II საფეხურის კომპლ.ს-სა და საკავშირო სათანრიგო კლასიფიკაციის შესაბამისი შეიტანება.

კროსის ფინალი შედგება 23 თებერვალს.

—⊙—

ვის მიუძღვის ბრალი?

სტალინირის მოზარდთა სპორტული სკოლის მძლეოსნობის განყოფილება ოდესლაც კარგად მუშაობდა. ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად სპორტსკოლის ნორჩი მძლეოსნები თვალსაჩინო ადგილებს იკავებდნენ სხვადასხვა შეჯიბრებებში.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მძლეოსნობის სექციის ვაჟთა განყოფილება მწვრთნელის გარეშე დარჩა, მუშაობა თანდათან შენელდა და ბოლოს ერთ წერტილზე გაიყინა.

საინტერესოა, შექმნილ მდგომარეობაში ვის მიუძღვის ბრალი?

ვ. კასრაძე,
ბ. გელაძე.

სტალინირი.

—⊙—

მოსწავლეთა მამაცობა

ახმეტის რაიონი. ამას წინათ დუისის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ვ. გრიგოლიშვილმა და ს. კულალაღაშვილმა მოკლეს ორი მგელი.

ვ. ჩეკურიშვილი

ჯანვარჯიშის იარაღებთან — სოფლის ახალგაზრდობა

★

„კოლმეურნის“ I რესპუბლიკური შეჯიბრება

★

მსაჯი იარაღთან უხმობს სოფ. შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტანმოვარჯიშეს რ. ლომაძეს. სპორტსმენი სამწყობრო ნაბიჯით მიდის ღერძთან და იწყებს ვარჯიშს: დატაცით მართკიდიდან გაქნევი, მარჯვენის მუხლდაკიდით ასვლა, ლაჯური ბჯენი... გამოზომილად ასრულებს ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ელემენტებს, ყოველ მის მოძრაობაში გამოსჭვივის კარგი მომზადება.

მსაჯები ლომაძეს აძლევენ მაღალ შეფასებას — 9,35 ქულას.

დარბაზის მეორე მხარეს გორელი ტანმოვარჯიშე ქალი ქ. მინდიაშვილი დვირზე იწყებს ვარჯიშს. დინჯად და ზუსტად ასრულებს იგი ბრუნებს, ჩოქვებს, ჩამოხტომას. შეფასება აქაც მაღალია — 9,65.

... საქართველოს „კოლმეურნის“ ტანმოვარჯიშეთა 1951 წლის რესპუბლიკური შეჯიბრება ვრცელი პროგრამით ჩატარდა. ვაჟთათვის მასში შეტანილი იყო ღერძი, ორძელი, რგოლები, ბაგირზე ცოცვა, ბჯენითი ხტომები ხარიხაზე და თავისუფალი ვარჯიში; ქალთათვის — ღერძი, ორძელი, რგოლები, თავისუფალი ვარჯიში, წონასწორობა და სიმაღლეზე ხტომა.

ასეთი მასშტაბით კოლმეურნე ახალგაზრდობის შეჯიბრება სსრ კავშირში პირველად საქართველოში ჩატარდა. 1950 წელს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტისა და „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს თაოსნობით მოეწყო ასეთივე ასპარეზობა, რომლისთვისაც ვარჯიშები სპეციალურად შეადგინა წვრთნელთა საბჭომ. 1951 წელს ეს ვარჯიშები გართულებულ იქნა, რის შედეგად მონაწილეებს გაზრდილი მოთხოვნილებები ჰქონდათ წაყენებული.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ გორის რაიონის სოფ. შინდისის, კარალეთის, მეჯვრისხევის, ტირძნისის, ზეღოლეთის (მწვრთნელი ქ. ბლიადე), ხაშურის რაიონის სოფ. გვერდისუბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (მწვრთნელი ს. კვანტაბაძე), მახარაძის რაიონის სოფ. შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (მწვრთნელი ვ. დუმბაძე) და თელავის რაიონის სოფ. შალაურის ბერიას სახელობისა და სოფ. კურდღელაურის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობათა (მწვრთნელი ბ. კულულაშვილი) ტანმოვარჯიშეები.

პირველობის მონაწილეებმა ძირითადად აჩვენეს კარგი სპორტული მომზადება. მწვრთნელებს გულმოდგინე მუშაობა ჩაუტარებიათ თავის აღსაზრდელებთან.

ქალთა შორის თავიდანვე დაწინაურდნენ მახარაძისა და გორის რაიონების წარმომადგენლები (მაღალ შეფასებებს იღებდა ავრეთვე თელაველი ა. ჰოლოკუტინა), მაგრამ სიმაღლეზე ხტომაში მიღებულმა დაბალმა ქულებმა უკან დასწიეს გორელები და „ილაველები“. საბოლოოდ, პირველი სამი ადგილი შემოქმედის წარმომადგენლებმა დაიკავეს: ცისანა ჭანუყვაძემ ყველა იარაღზე თანაბარი ძალით შეასრულა ვარჯიში და ექვსქიდში დააგროვა 55,2 ქულა; მეორე ადგილი ერგო თინა ერქომაიშვილს (53,1), მესამე — ეთერ ერქომაიშვილს (52,9).

საკმაოდ მაღალი მომზადება გამოამჟღავნეს ავრეთვე ა. კონეევამ (ხაშური), ლ. ბერაიამ (თელავი), ლ. ვანიძემ (მახარაძე), მ. გომეჯიშვილმა და ქ. მინდიაშვილმა (გორი).

დაძაბული იყო ბრძოლა ვაჟთა შორის. ბოლო იარაღამდე თითქმის შეუძლებელი იყო გამარჯვებულის დასახელება, ვინაიდან, ლიდერთა ჯგუფში ქულათა განსხვავება ძალზე უმნიშვნელო იყო. საბოლოოდ, პირველი ადგილი 56,9 ქულით დამსახურებულად მოიპოვა ხაშურის გუნდის წარმომადგენელმა გ. არეევაძემ. გორელმა სპორტსმენებმა თ. ცერცვაძემ (56,0) და შ. გურგენიძემ (55,85) დაიკავეს II და III ადგილები.

პრიზიორებს მცირე განსხვავებით ჩამორჩნენ მ. გელაშვილი (ხაშური), გ. ხვთისიაშვილი, ბ. გოლცევი (ორივე თელავიდან) და მ. ჩუხრუსლაძე (გორი).

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა; კარგად იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი ს. ყიფიანი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი ფიზკულტურული მუშაკების ტანვარჯიშის განვითარებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ ამ შეჯიბრებას მნიშვნელოვანი ჩრდილი მიაყენა. გაუგებარი მიზეზებით შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ ქუთაისის, სამტრედიის, ცხაკაიას, ზესტაფონის, გურჯაანის, სიღნაღისა და სხვა რაიონების სპორტსმენები და ეს მაშინ, როდესაც აქ არიან ტანმოვარჯიშეებიც, მწვრთნელებიც, არის სამეცადინო ადგილიც.

კიდევ უფრო შორს წავიდა ზოგიერთთა „საქმიანობა“. აფხაზეთის „კოლმეურნის“ საოლქო საბჭომ (თავმჯდომარე ამხ. ა. ჩაჩიბაია) მოითხოვა ორი სრულად დაკომპლექტებული გუნდით მონაწილეობის უფლება (აფხაზეთის ასსრ და სოხუმის რაიონის ნაკრები კოლექტივები ცალ-ცალკე). რესპუბლიკურ საბჭოსაგან თანხმობის მიღების შემდეგ აფხაზეთიდან შეჯიბრებაზე... არც ერთი სპორტსმენი არ ჩამოვიდა. თბილისის გარეუბნის საბჭომ (თავმჯდომარე ამხ. ი. კოტორაშვილი) პირველობისათვის თითქოს ჩაატარა სათანადო საწვრთნელი მუშაობა, გუნდიც მოამზადა, რომელმაც შეჯიბრებაში მონაწილეობა... არ მიიღო.

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს (თავმჯდომარე ამხ. ს. გასიევი) ასპარეზობისათვის მზადება კიდევ უფრო „ნაყოფიერი“ გამოდგა. იქიდან დროზე იქნა გამოგზავნილი განაცხადი შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის, მაგრამ შემდგომში ეს საკმარისად ცნეს და ტურნირში თავისი „მონაწილეობა“ ამით ამოწურეს.

კურორტზამდე მივიდა აჭარის ასსრ საოლქო საბჭოს (თავმჯდომარე ამხ. ვ. ჩხარტიშვილი) საქმიანობა. პირველობის საორგანიზაციო კომიტეტს დეპეშაც კი მიუვიდა — მოვდივართო, მაგრამ როგორც ჩანს, აჭარის „კოლმეურნის“ საბჭომ ერთბაშად გადაიფიქრა ჩამოსვლა და იქიდან არც არავინ ჩამოსულა.

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ აჭარისა და სამხრეთ ოსეთის კოლექტივებისათვის „კოლმეურნის“ რესპუბლიკურმა საბჭომ სასტუმროში ადგილები დაჯავშნა, რისთვისაც 500 მანეთამდე გადიხადა. ეს თანხა, რომელიც საქმეს არ გამოადგა, მთლიანად უნდა გადახდეთ დამნაშავე პირთ.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ იქ, სადაც კოლმეურნეობის გამგეობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის მუშაობას, საქმე ჩაშლილია. სოფლის ფიზკულტურელები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინსტრუქტორებით, სპორტული მოედნებით, სათანადო ინვენტარით და სხვ. მაგალითად, წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში არის შენობა, სადაც უწინ საწყობი ყოფილა. კოლმეურნეობის გამგეობა ფიზკულტურელებს რა ხანია პირდება ამ შენობის გადაცემას, მაგრამ იგი ჯერჯერობით დაპირებას ვერ გაცდა.

სხვაგვარად ეკიდებიან ფიზიკური კულტურის განვითარების მნიშვნელოვან საქმეს სოფ. შემოქმედში. აქ მოაწყეს რამდენიმე სპორტული მოედანი, შეიძინეს ინვენტარი, ფორმა, ნაყოფიერად მუშაობენ სპორტული სექციები. კოლმეურნეობის გამგეობის საერთო კრებაზე ხშირად იხილავენ ფიზკულტურული საქმიანობის საკითხებს. ამიტომ ბუნებრივია ის, რომ შემოქმედის კოლმეურნეებს სპორტში კარგი მაჩვენებლები აქვთ.

კოლმეურნეობათა შორის ფიზკულტურული მუშაობის ჩამორჩენაში მნიშვნელოვანი ბრალი ედებათ ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტებსაც. ისინი არ ეხმარებიან სოფლის ფიზკულტურის კოლექტივებს, საქმით ხელმძღვანელობას არ უწევენ მათ და უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ფორმალური კონტროლით კმაყოფილდებიან.

კოლმეურნეობათა შორის ფიზკულტურული საქმიანობის კარგად დაყენების მხრივ სანიმუშოა მახარაძის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტი (თავმჯდომარე ამხ. კ. ხმელიძე).

მიმდინარე წელს კოლმეურნე ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება ჩატარდება საკავშირო კლასიფიკაციის III თანრიგის პროგრამით. ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტებმა და „კოლმეურნის“ რაიონულმა საბჭოებმა ბოლო უნდა მოუღონ სპორტის ამ წამყვანი დარგის შეუფასებლობას, თავი უნდა დანებონ უმოქმედობას, გაშალონ ნამდვილი ქმედითი მუშაობა.

ბ. ქოჩაქია

ზეიმი კოლმეურნეობაში

სოფ. შრომა. (ჩვენი სპეც. კორ.). ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „შრომა“ ერთი საუკეთესოთაგანია რესპუბლიკაში. გასულ წელს ამ სახოფლო-სამეურნეო არტელის საერთო შემოსავალმა 6 მილიონ მანეთს მიაღწია. უკანასკნელ წლებში უხვი მოსავლის მოყვანისათვის 31 კოლმეურნეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. თითქმის 2.000 ჰექტარამდეა გადაჭიმული კოლმეურნეობის მინდვრები.

კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკური კულტურის განვითარებას. კოლმეურნე ფიზკულტურელთა განკარგულებაშია სხვადასხვა სპორტული ბაზები.

ამ დღეებში „შრომამ“ ზეიმით აღნიშნა თავისი არსებობის 20 წლისთავი. კოლმეურნეობის კეთილმოწყობილ კლუბში თავი მოიყარა 500-მდე კაცმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ნატროშვილმა ილაპარაკა არტელის მიერ განვლილი გზის შესახებ 20 წლის მანძილზე.

მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ გაიმართა კოლმეურნეობის თვითმოქმედი მხატვრული გუნდის კონცერტი. მაყურებლების დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლე ფიზკულტურელების გამოსვლამ. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა რაიონული სპორტული სკოლის აკრობატთა გამოსვლამ პ. გრომოვის ხელმძღვანელობით.

* * *

სურათზე: რაიონის სპორტსკოლის აკრობატთა გამოსვლა.

ფოტო კ. კრიმსკისა.

მოსწავლეთა არდადეგების ეკონომიური ბიბლიოთეკა

მოვანყოთ შეჯიბრებებს, ჩაებარებენ მშთ ნორმებს

მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში საქართველოს განათლების საბჭოს ფიზიკური აღზრდის ინსპექცია აწყობს მთელ რიგ სპორტულ ღონისძიებებს.

ნორჩ ფიზკულტურელთა ოსტატობის ამაღლებისა და მშთ ნიშნოსანთა მომზადების მიზნით რესპუბლიკის თოვლიან რაიონებში მოეწყობა მოსწავლე მეთხილამურეთა მასობრივი შეჯიბრებები. ამავამად, ბაკურიანში მიმდინარეობს ნორჩ მეთხილამურეთა საწვრთნელი შეკრება, რომელშიც 150-მდე ფიზკულტურელი მონაწილეობს.

თბილისში დაიწყო რესპუბლიკის უძლიერეს მოსწავლე ჩოგბურთელთა შეკრება, რომლის დამთავრების შემდეგ გათამაშდება პირადი პირველობა. საქართველოს ნორჩი ტანმოვარჯიშეები ბათუმში გამართავენ მთელ რიგ შეჯიბრებებს, საჩვენებელ გამოსვლებს და სხვ.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში განზრახულია ნორჩ კალათბურთელთა და ფრენბურთელთა ასპარეზობების მოწყობა.

რას უცდიან?

ზუგდიდის რაიონის მთელი რიგი საშუალო და რვაწლიანი სკოლების ფიზკულტურული ორგანიზაციები მომზადებული შეხვდნენ სპორტულ ზამთარს. მაგალითად, ქალაქის „აეთა პირველი, ქალთა მე-2 საშუალო სკოლების, აკაკი წერეთლის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა დროულად შეაკეთეს თავიანთი სპორტული ბაზები, დამატებით შეიძინეს საჭირო ინვენტარი. ამის შედეგად, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ჭიდაობისა და სხვა სექციებს ნორმალური მეცადინეობის საშუალება მიეცათ.

მაგრამ ზამთრის სპორტულ ხეზონს ყველა სკოლა მომზადებული როდი შეხვდა. ქალაქის პირველ და მე-2 რუსულ საშუალო სკოლებს, ჭკადუაშის, ინგირის, ორჯონიკიძის, ზედა ეწერის საშუალო სკოლებს ამ მხრივ დღემდე არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებიათ. აღნიშნულ სასწავლებლებში ზამთრის პერიოდში ნორმალური მუშაობისათვის არავითარი პირობები არ არის შექმნილი: სპორტული ბაზები და ინვენტარი წესრიგში არ არის მოყვანილი. ასეთ ვითარებაში, ცხადია, წარმოუდგენელია მოსწავლეთა შორის სექციური მუშაობის წესიერად წარმართვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ზემოაღნიშნული სკოლების ხელმძღვანელობა არავითარ ღონეს არ ხმარობს არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და გულდამშვიდებით უყურებს ამ ალმაშფოთებელ მდგომარეობას. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ახლა, არდადეგების პერიოდში მოსწავლეებს მეტი დრო აქვთ სპორტული მეცადინეობისათვის.

სპორტული ზამთარი უკვე დადგა. საინტერესოა, რას უცდიან ამ სკოლების მესვეურნი?

ბ. ალშიბაია
ზუგდიდის რაიონი.

ნორჩ მეთხილამურეთა ლაშქრობა

თბილისი წყარო. მოსწავლეთა არდადეგებთან დაკავშირებით რაიონის საშუალო სკოლების ნორჩმა ფიზკულტურელებმა მოაწყეს სათხილამურო ლაშქრობა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

დაძაბულ ასპარეზობაში გამარჯვება წილად ხვდა პირველი ქართული საშუალო სკოლის მეთხილამურეთა გუნდს.

ვ. დვალი

ახალი — კალათბურთის წესებში

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მიღებული წესებისა და საბჭოთა კავშირში კალათბურთის არსებული წესების ერთიანობაში მოყვანის მიზნით ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა ცვლილებები და დამატებანი კალათბურთის თამაშის წესებში, რომლებიც ძალაში შევიდა 1952 წლის 1 იანვრიდან.

შეცვლილია გვერდითი და პირითი ხაზებიდან ბურთის თამაშში შეყვანის წესი. თუ ბურთის თამაშში შეყვანა ხდება თავისი გუნდის თავდასხმის ზონაში, მაშინ მოთამაშეს ბურთის თამაშში შეყვანის უფლება აქვს მხოლოდ ბურთის მსაჯისაგან მიღების ან მსაჯის მიერ ბურთის შეხების შემდეგ. თავისი გუნდის ზურგით ზონაში პირითი და გვერდითი ხაზებიდან ბურთის თამაშში შეყვანა ხდება ისევე, როგორც წინათ. დაზუსტებულია, რომ ბურთის თამაშში შეყვანის განზრახ დაყოვნებისათვის ტექნიკური საჯარიმო ტყორცნა შეიძლება დანიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თამაშის დროის აღმრიცხველი წამმზომი შეჩერებული არ იყო.

მოთამაშეს უფლება არა აქვს შეეხოს თავისი გუნდის რგოლზე მყოფ ბურთს, აგრეთვე თავისი გუნდის კალათს (ე. ი. რგოლსა და ბადეს), როდესაც ბურთი კალათის რგოლზეა. აკრძალულია აგრეთვე ბურთის შეხება მაშინ, როდესაც იგი იმყოფება თავისი გუნდის კალათის ზევიდან რგოლის გასწვრივ წარმოსახვითი ცილინდრით შეზღუდულ სივრცეში. ყველა ამ დარღვევისათვის ბურთის კალათში მოხვედრისაგან დამოუკიდებლად ჩაითვლება: 1 ქულა, თუ ეს დარღვევა საჯარიმო ტყორცნის შესრულებისას მოხდა და 2 ქულა, თუ თამაშიდან ტყორცნის დროს.

შეცვლილია საჯარიმო ტყორცნის შესრულების თანმიმდევრობა. თუ პერსონალური შეცდომისათვის დანიშნული საჯარიმო ტყორცნა სრულდებოდა, შემდეგ კი—ტექნიკური საჯარიმო ტყორცნა. მაშინ, ბურთის კალათში მოხვედრისაგან დამოუკიდებლად, ბურთი იმავე გუნდს გვერდითი ხაზიდან შეჰყავდა თამაშში, რაც მას დიდ უპირატესობას აძლევდა). მაგრამ თუ ტექნიკური საჯარიმო ტყორცნა მეორე გუნდს დაენიშნა, ამ შემთხვევაში, ბურთის კალათში მოხვედრისაგან დამოუკიდებლად, თამაში ცენტრიდან იწყება (ძველი წესების მიხედვით ასეთ შემთხვევაში, ბურთის კალათში მოხვედრისაგან დამოუკიდებლად, ტექნიკური საჯარიმო ტყორცნის შემსრულებელ გუნდს ბურთი გვერდითი ხაზიდან შეჰყავდა თამაშში).

თუ შეხვედრა ფრედ დამთავრდა და გამარჯვებული გუნდის გამოსავლინებლად საჭიროა დამატებითი დროს მიცემა, მაშინ ხდება კენჭის ყრა კალათის ამოსარჩევად, რის შემდეგ გუნდები ატარებენ პირველ ხუთწუთიან თამაშს. შემდეგ გუნდები მზარეებს იცვლიან. ყოველ ხუთწუთიანი თამაშის წინ გუნდები 2 წუთს ისვენებენ.

ახლა უკვე გუნდს უფლება აქვს შეხვედრის დაწყების შემდეგ თამაში განაგრძოს მოთამაშეთა ნებისმიერი რაოდენობით (წინათ, ძველი წესების მიხედვით, გუნდს არ ჰქონდა 4 კაცზე ნაკლები შემადგენლობით თამაშის გაგრძელების უფლება). ახლა გუნდს შეუძლია (და მოვალეც არის) თამაში გააგრძელოს დროის ამოწურვამდე, თუნდაც გუნდში ერთი მოთამაშე იყოს დარჩენილი.

დაზუსტებულია წამმზომის ჩართვის მომენტი. პირითი და გვერდითი ხაზებიდან ბურთის თამაშში შეყვანის, დროს, თუ წამმზომი შეჩერებული იყო, მაშინ ის ჩაირთვება მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მოთამაშე შეეხება ბურთს. მოთამაშემ ბურთი უნდა შეიყვანოს თამაშში არა უგვიანეს 5 წამისა მსაჯის სასტვენის შემდეგ. თუ ეს წესი დაირღვა, ბურთი მის თამაშში შესაყვანად მეორე გუნდს გადაეცემა. ორივე შემთხვევაში წამმზომი მას შემდეგ ჩაირთვება, როცა ბურთი შეყვანილია თამაშში და მას ერთ-ერთი მოთამაშე შეეხო.

შეცვლილია ზურგის ზონაში მოთამაშის ყოფნის განსაზღვრის წესი. თუ მოთამაშე ერთდროულად ეხება წინა და ზურგის ზონებს, იგი ზურგის ზონაში მყოფად ჩაითვლება, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი ზონიდან მიიღო მან ბურთი.

დაწესებულია ბურთის საწყისი ტყორცნის და სადაო გათამაშების დროს მოთამაშეთა განლაგების წესი: გუნდის მოთამაშეებს არ შეუძლიათ წრეზე ერთმანეთის გვერდით განლაგება, თუ მეორე გუნდის მოთამაშეს მათ შორის ჩადგომის სურვილი აქვს.

თავისი გუნდის წინა ზონიდან ბურთის ზურგის ზონაში გადაცემა შეუძლია არა მარტო სადაო ბურთის გამთამაშებელს, არამედ იმ მოთამაშესაც, რომელიც მის შემდეგ პირველი შეეხება ბურთს.

თუ საჯარიმო ტყორცნა თამაშისათვის დაწესებულ დროის გასვლის შემდეგ უნდა შესრულდეს, მაშინ წუთშესვენების აღება და მოთამაშეთა შეცვლა არ დაიშვება.

გადიდებულია მოთამაშის დასჯის ზომა პერსონალური შეცდომისათვის. თუ ეს შეცდომა არასპორტული მოქმედებით იყო გამოწვეული, დამოუკიდებლად იმისა, იყო თუ არა ამ დროს კალათში ტყორცნის ცდა, ინიშნება ორი საჯარიმო ტყორცნა.

ლ. ფალავანდიშვილი,
ფიზკულტურის რეპუბლიკური კომიტეტის კალათბურთის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სუსხნარევი მზიანი დარია. ბზინავს კუპრივით შავი ასფალტი. მოტომარბიელთა კოლონა მიჰყვება გზატკეცილს, რომლის გასწვრივაც მთები აღმართულან. როგორ, მთები ველზე? იქნებ მირაჟია? ჩვენ მთები დიდი ხანია ჯერ არ შეგვხვედრია.

თვით სტალინგრადიდან, კრასნოარმეიკოედან იწყება ვოლგა-დონის სანაოსნო არხის სათავე ნაგებობა. აქ გადაუხსნიან დედამდინარეს ნაპირს, ფართე კალაპოტით აქედან გამოუშურება უხვწყლიანი ვოლგა წყნარი დონის შესახვედრად...

უკან რჩებიან არხმშენებელთა ახალი დასახლებული პუნქტები. ყვითელ სერებს ვუახლოვდებით, მირაჟი კი არ ქრება. არ ქრება იმიტომ, რომ იგი სინამდვილეა. ეს მთები კალაპოტიდან ამოღებული მიწაყრილია.

რა ხელმა, რა დეკემბრიულმა ძალამ შეძლო ამ გრუნტის ამოღება! იხედება ირგვლივ და პასუხს ალარ უცდი.

... მიწაყრილებთან შემომჯდარა მთელი ჯარი დიდი და პატარა ექსკავატორებისა, ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულან ყელწაწვდილი ლითონის მანქანები. აი, ციცხვის ეშვები ღრმად ჩაესო მიწის რბილ სხეულს, აგერ მეორემ სათამაშოსავით აატრიალა ჰაერში მსუბუქად ატაცებული გრუნტი, სხვები კი თვითმყრელებს ტვირთავენ. მიწაყრილებს მკერდით ეჯახებიან, ასწორებენ ბულდოზერები, შეუჩერებლივ მუშაობენ სკრეპერები...

ჯერ კიდევ თბილისიდან ნატრობდნენ მოლაშქრეები: როდის ვნახავთ გიგანტ ექსკავატორსო. მოტოციკლეტი შარაზე დავტოვეთ, ავტომანქანამ არხის პირამდე მიგვიყვანა.

ვოლგა-დონის არხის ტრასის ყველაზე მაღალ ადგილს — წყალგამყოფთან მოტომარბიელებმა ნახეს ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე დიდი მიწის მთხრელი მექანიზმი მსოფლიოში — მეფე-მანქანა, 14 კუბმეტრიანი მოსიარულე ექსკავატორი „ЭШ 14-65". დგას ვეებერთელა ხომალდი, უზარმაზარი ხიდის კონსტრუქციის ნაწილს წააგავს მისი ისარი, რომელზეც ვაუკაცის მაჯის სიმსხო ბაგირით ვაგონის ტევადობის ციცხვი ჰკიდია.

ხანმოკლე იყო მოლაშქრეების შეხვედრა სახელოვან ეკიპაჟთან. მეექსკავატორეები საქმით იყვნენ გართული, მოტომარბიელებს კი კალაჩისაკენ მიეჩქარებოდათ.

რამდენიმე ციფრი, და ნათელი ხდება დიადი წვლილი, რომელიც „ЭШ 14-65"-ის ჩვიდმეტკაციანმა ეკიპაჟმა შეიტანა არხის მშენებლობაში. წელიწადზე ნაკლებ დროში ამოღებულია 1.700 ათასი კუბმეტრი მიწა, გაჭრილია 3 კილომეტრი სიგრძის, 100 მეტრამდე სიგანის კალაპოტი!

კოლონას წინ მსუბუქი ავტომანქანა შემოსდგა, ვოლგა-დონმშენის პოლიტგანყოფილების წარმომადგენელი შემოგვეგება; ის მიგვიძღვება გზის მაჩვენებლად.

დაბალზე გადაგვიარა თვითმფრინავმა, ნელა მიჰყვებოდა არხს.

—მშენებლობის უფროსი ათვალიერებს ტრასას, — გვითხრა მეგზურმა.

ეს სურათი რაღაც ძალიან ნაცნობად მომეჩვენა, თითქოს არც თუ ისე დიდი ხანია, რაც მინახავს თუ წამიკითხავს. ვფიქრობდი: სად? როდის? გამახსენდა: ეს იყო ნაცნობი ადგილები ვ. ველიჩკოს ნარკვევიდან „არმიის სიჭაბუკე".

ოდესღაც, ამ ველებზე დაბლა, ნელა, როგორც ეს თვითმფრინავი, მსუბუქი სასწავლო მანქანა დაფრინავდა, მასაც ერთადერთი მგზავრი ჰყავდა, არმიის სარდალი ჩუიკოვი, რომელიც ფრონტის ხაზს ათვალიერებდა და რუკაზე ინიშნავდა მტრის განლაგებას.

... სამმართველოს წინ, სადაც მოლაშქრეები შეჩერდნენ, მშენებლები შეგროვილიყვნენ. ერთმანეთს ეცობოდნენ სპორტსმენები და არხის მჭრელები.

— ვანო!

— გოგი!

ამ შეძახილებმა ყველას ყურადღება მიიქცია. კოლონის უფროსის მოადგილეს გოგი ღლონტს გოლიათურ მკლავებში მაგრად ჩაებღუჯა წითელი ტყავის ქურთუკში გამწყობილი ვაუკაცი, კალაჩის საშენიბლო რაიონის უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი. იგი სასწრაფო საქმეზე ჩამოსულიყო სამმართველოში.

მთა მთას არ შეხვდებაო!.. რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ... რას წარმოიდგენდა გოგი, რომ ამდენი ხნის შეგობარს დონის ველებზე, კალაჩში შეხვდებოდა.

ღლონტი იგონებდა, როგორ სწავლობდნენ ერთად თბილისის სამშენებლო ტექნიკუმში ისა და ვანო. რა გატაცებით მეცადინეობდნენ სპორტულ სექციებში, ჯერ კალათბურთის გუნდში იყვნენ, შემდეგ, როცა გოგი თბილისის ავტო-კლუბს ხელმძღვანელობდა, ვანოს მანქანისა და მოტოციკლის მართვაც ასწავლა.

— მართალია, ვაშენებ, — ღიმილით ამბობდა ვანო, — საქმის გამო დრო ცოტა გვრჩება, მაგრამ სპორტისათვის მაინც არ დამინებებია თავი. კალათბურთის გუნდი შევკარ, იმას ვხელმძღვანელობ.

ბევრი სხვა თანამემამულეც ნახეს აქ ქართველმა მოლაშქრეებმა.

მიტინგი დიდხანს არ გაგრძელებულა. გულთბილად, საქმიანად ჩატარდა...

... კოლონა დონის ნაპირთან შეჩერდა, ბორანს ელოდებოდა.

ს. ხარაზიშვილი
(ჩვენი სპეც. კორესპონდენტი).

(დასასრული იქნება)

გაგრძელება იხ. გაზეთი „ლელო" 1951 წლის № 48, 50, 54.

ჰ ა დ რ ა კ ი

მეჯი ყურადღება საჭადრაკო ხელოვნებას

წერილების მიმოხილვა

საჭადრაკო სპორტის განვითარების მიზნით საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში დაავალა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სპორტის ამ დარგში გადამწყვეტი გარდაქმნან მუშაობა: „ზირად ჩაატარონ შეჯიბრებები, ლექცია-მოხსენებები ჭადრაკის თეორიიდან და ისტორიიდან, გამოაკლიონ და აღზარდონ ნიჭიერი, მაღალკვალიფიციური მოჭადრაკეები, შეუწყონ ხელი ჭადრაკის ფართო პოპულარიზაციას რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

ხაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს ამ მხრივ მთელმა რიგმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. მაგრამ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არიან ფიზკულტურული ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებები, რომლებიც არ ზრუნავენ საჭადრაკო სპორტის განვითარებაზე და ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა საქართველოს რაიონებში.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველი ... პატარაია ზემო ჩიბათიდან (ლანჩხუთის რაიონი) გვატყობინებს, მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში, მიუხედავად ახალგაზრდობის დიდი დაინტერესებისა, საჭადრაკო სპორტს სრულებით არ ექცევა ყურადღება. აქ დღემდე ვერ შეძლეს ჭადრაკის დაფის შეძენაც კი.

სოფლის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა საჭადრაკო წრის ჩამოყალიბება და საჭირო ინვენტარის შეძენა, მაგრამ მათ ინიციატივას არც კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციამ და არც ფიზკულტურის ძირეულმა საბჭომ მხარი არ დაუჭირეს.

კ. ფორაძე ხაშურიდან გვწერს, რომ ყოფილი საჭადრაკო კლუბი ამჟამად ერთ-ერთი ორგანიზაციის კანტორად არის გადაკეთებული. ახალგაზრდობის მრავალი მოთხოვნის შედეგად, რაგორც იქნა, გამოყვეს ერთი მომცრო ოთახი კლუბისათვის, მაგრამ ფიზკულტურის კომიტეტმა არავითარი მზრუნველობა არ გამოიჩინა მისი კეთილმოწყობისათვის და იგი დღემდე არაა გახსნილი. ხაშურის რაიონის ახალგაზრდობა სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს შექმნილი მდგომარეობის გამო.

შ. აბუთიძე აბასთუმნიდან გვატყობინებს, რომ აქ ბევრია ჭადრაკის მოყვარული, რომლებიც თავისუფალ დროს გატაცებით უთამაშებენ ამ საინტერესო ხელოვნებას. ჭადრაკის მოყვარული მრავლად გვხვდება აგრეთვე სანატორიუმებშიც. მაგრამ აბასთუმანში ძალზე იშვიათად იმართება საჭადრაკო ტურნირები ადგილობრივ მცხოვრებთა და დამსვენებელთა მონაწილეობით. ამხ. აბუთიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ შეჯიბრებები საგრძნობლად აამაღლებს მოჭადრაკეთა ოსტატობას და გამოავლენს მრავალ თანრიგოსანს.

ეშიუდი № 14

ზ. ნადარეიშვილი

თბილისი



a b c d e f g h

თეთრები იწყებენ და იგებენ.

მოკლე ცნობები

ბახარაძე. დამთავრდა საჭადრაკო ტურნირი ქალაქის 1951 წლის პირველობაზე. 11 შესაძლებლიდან 10½ ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი მოიპოვა მეორეთანრიგოსანმა რ. ჭყონიამ.

კ. ჩხაიძე

* * *

კოჯორი. საშუალო სკოლაში მოეწყო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა 24 მოსწავლე. გამარჯვება წილად ხვდა მეთერთმეტეკლასელ ა. კეკელიას.

ა. კუპუხიძე

* * *

აბაშა. „ისკრის" რაიონულმა საბჭომ გახსნა საჭადრაკო ოთახი. ამჟამად ჭადრაკის სექცია მეცადინეობს კვირაში სამჯერ.

ვ. ბუხაიძე

მოცურავეთა რეკორდები

○ გასული წლის ბოლოს, უკრაინის პირველობაზე შესანიშნავი შედეგები მოიპოვა ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა, სპორტის ოსტატმა მარიამ გავრიშმა. 400 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მან აჩვენა 6:22,6, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია.

○ კიევში გამართულ შეჯიბრებისას თ. დოსაევმა დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში—1:12,1. ვ. მინაშკინის (ლენინგრადი) ძველი რეკორდი გაუმჯობესებულია 0,3 წამით.

○ ლენინგრადში, პროფკავშირთა ახალგაზრდობის სპორტსკოლის გუნდმა (რ. ჩმიხოვი, ა. მალიშევი, ვ. კოტოვი და ვ. სეროვი) ამანათცურვაში 4×50 ნებისმიერი სტილით დაამყარა სსრ კავშირის ახალი რეკორდი 15-16 წლის ჭაბუკთათვის. რეკორდსმენთა შედეგია 1:55,5.

კონსერვატორიის პირველობაზე

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში გაიმართა პირველობა მოგიდის ჩოგბურთში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შორის.

ქალთა შორის გაიმარჯვა საფორტეპიანო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა გ. ჩხენკელმა, ვაჟთა შორის — ვოკალური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ნ. ჯაფარიძემ.

ლ. ჯაუელი

გ უ ნ დ ო ვ ნ ი ფ ვ ნ ი ნ ი

სოხუმი. (ჩვენი საკ. კორ.). დამთავრდა აფხაზეთის 1951 წლის გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდა 14 გუნდი.

საინტერესო სპორტული ასპარეზობის შედეგად I ჯგუფში პირველ ადგილზე ქულათა თანაბარი რაოდენობით გავიდნენ „ისკრისა" და „ბურევესტნიკის" კოლექტივები.

II ჯგუფში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ქალაქის სპორტსკოლის მოჭადრაკეები, მეორე ადგილზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკის", მესამეზე — „დინამოს" წარმომადგენლები.

თბილისი—გორი—თბილისი

ამ დღეებში, თბილისის ავტო-მოტოკლუბმა მოაწყო ავტო-მოტოგადარბენა მარშრუტით თბილისი—გორი — თბილისი, რომელშიც მონაწილეობდა 50 სპორტსმენი.

გადარბენის მონაწილეებმა გორში დიდი ინტერესით დაათვალიერეს ხახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ამხანაგმა სტალინმა.

მეორე დღეს დიდი ბელადის სამშობლოში გაიმართა მოტომარბიელთა შეჯიბრება თბილისის ავტომოტოკლუბის პირველობაზე. ათასობით გორელი მაყურებელი ადევნებდა თვალს 15-კილომეტრიან წრიულ რბოლას ქალაქის ქუჩებში.

125 კბ. სმ. მოცულობის მოტოციკლებისათვის რბოლაში ვაუებთან ერთად მონაწილეობდნენ ქალებიც. სტარტიდანვე დაწინაურდა ვ. ბარახევა, რომელსაც კვალდაკვალ მიჰყვებოდა ტ. გალუსტოვი. მაგრამ მოსახვევებში შეფერხების გამო გალუსტოვი ჩამორჩა ლიდერს და რბოლა მოიგო ბარახევამ შედეგით 15:46,1.

შეჯიბრებაში 350 კბ. სმ. მოცულობის მანქანათათვის დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა კ. ცალქალამანიძესა და ო. კანდელაკს შორის. მთელი დიხტანციის განმავლობაში ხან ერთი, ხან მეორე ლიდერობდა რბოლას. უკანასკნელ მოსახვევში, ფინიშზე ცალქალამანიძემ მანქანის ერთი თვალით გაასწრო კანდელაკს.

წრიული რბოლის შემდეგ ჩატარდა მოტოკროსი 30 კილომეტრზე, რომლის ტრასა ქალაქის პარკის ხეივნებში გადიოდა.

125 კბ. სმ. მოცულობის მანქანებზე გამარჯვება კვლავ ქალს ხვდა წილად — გ. ცევაშევამ ძნელი ტრასა კარგად გაიარა.

350 კბ. სმ. მოცულობის მანქანათათვის ბრძოლა კვლავ ცალქალამანიძესა და კანდელაკს შორის გაჩაღდა. მწვავე ასპარეზობაში ფინიშთან პირველი კვლავ ცალქალამანიძე მივიდა.

* * *



სურათებზე: ზევით — ვ. ბარახევა წრიული რბოლის ტრასაზე; ქვევით—კ. ცალქალამანიძე (მარცხნივ) და ო. კანდელაკი მოტოკროსის დროს.

ტექსტი და ფოტო ე. ბარშახისა.

პიონერთა რაზმეულების ასპარეზობა

ამას წინათ, დიდი ინტერესით ჩაიარა ნორჩ მძლეოსანთა შეჯიბრებამ თბილისის კიროვის რაიონის პიონერთა რაზმეულების პირველობაზე.

40 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის ყველას აჯობა ა. ჩაჩიბაიამ (48-ე სკოლა), ჭაბუკთა შორის — 37-ე სკოლის წარმომადგენელმა გ. სარქისოვმა. მანვე გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომასა (1,40 მეტრი) და ცირთვის კვრაში (8,43 მეტრი).

სიგრძეზე ხტომაში გამარჯვება წილად ხვდა ვაჟთა 37-ე სკოლის მოსწავლეს ს. ბართიშვილს, რომელმაც აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 5,18 მეტრი.

დაძაბული ბრძოლის შედეგად სიმაღლეზე ხტომაში გოგონებიდან გაიმარჯვა მე-3 სკოლის ნორჩმა მძლეოსანმა ნ. მატუამ (1,25 მეტრი). ბირთვის კვრაში პირველი ადგილი მოიპოვა ნ. თევზაძემ, სიგრძეზე ხტომაში — ნ. სუვეროვამ.

ორი დღის მწვავე ასპარეზობის შედეგად ქალთა სკოლებს შორის ქულათა უმეტესი რაოდენობით პირველი ადგილი აიღო მე-3 სკოლამ, ხოლო ვაჟთა შორის — 29-ე სკოლამ.

შეჯიბრების მსვლელობისას ნაჩვენები იქნა 1 მესამე და 23 ჭაბუკთა თანრიგის ნორმა.

ა. კონსტანტინოვი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

პრაქტიკის დამთავრებასთან დაკავშირებით

თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე წარმატებით გაიარეს პრაქტიკა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტებმა. პრაქტიკის დამთავრებასთან დაკავშირებით, ამას წინათ, უცხო ენათა ინსტიტუტის დარბაზში მოეწყო სპორტული საღამო, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

საღამო დაიწყო პრაქტიკანტთა ხელმძღვანელის, ფიზკულტურის ინსტიტუტის თანამშრომლის ამხ. ა. ნემსაძის მოხსენებით თემაზე: „ფიზიკური აღზრდის ამოცანები უმაღლეს სასწავლებელში“.

საინტერესოდ ჩატარდა სპორტული ნაწილი. პირველთანრიგოსანმა ტანმოვარჯიშეებმა, პრაქტიკანტებმა გ. მარგიანმა, ზ. გვეტაძემ, ა. ბერიშვილმა და ე. არუთინოვმა დამსწრეთ უჩვენეს თავისი ოსტატობა.

დიდი მოწონება ჰპოვა აგრეთვე უცხო ენათა ინსტიტუტის სპორტსმენების გამოსვლამ მხატვრულ ტანვარჯიშში (მწვრთნელი თ. პოლტორაცკაია). ვარჯიშების ზუსტი და კარგი შესრულებით გამოირჩეოდა ტ. ჩიკვაიძე.

ცეცხლის ხაზზე

სიღნაღი. გაიმართა რაიონის მსროლელთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 81 კაცი. საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ა. წერეთელმა, შ. გოგოსაშვილმა და დ. სიყმაშვილმა, რომლებმაც შეასრულეს მეორე თანრიგის ნორმები. მესამე თანრიგის მოთხოვნები შეასრულა 18 კაცმა.

ც. ნადიშვილი

ფეხბურთი საზღვარგარეთ

ლათინური ამერიკის სტადიონები არგენტინაში თუ ჩილეში, ბრაზილიაში თუ პერუში, ეკვადორში თუ გვატემალაში, ურუგვაიში თუ სალვადორში, მექსიკაში თუ პარაგვაიში, მუდამ სავსეა მაყურებლებით, რომლებიც განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით ხვდებიან „ძვირფას“ სტუმრებს სხვა ქვეყნებიდან. ეს, ნამდვილად სიგიჟემდე მისული მაყურებლები საფეხბურთო მატჩების დროს იჩენენ რაღაც აუწერელ უხეშობას და აღვირახსნილ ცრუპატრიოტიზმს. ამ „ამალელეებელ“ მატჩებს თან სდევს ჩვენთვის რაღაც წარმოუდგენელი ამბები — სროლა, ღორღტატების ჭყვიტინი, დოლების ბათქა-ბუთქი და სხვა ამისთანები.

ალმაშფოთებელი ამბები ხდება ამ ქვეყნების სტადიონებზე მაშინაც კი, როდესაც ერთმანეთს ხვდებიან ადგილობრივი გუნდები. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივად ადგილი აქვს პროგრამით გაუთვალისწინებელ „ბრძოლებს“ სხვადასხვა ჯგუფის პარტიებისა და მომხრეულების გულშემატკივართა შორის.

ყოველივე ამის შესახებ ამას წინათ გულისწყრომით წერდა ჩეხოსლოვაკელი მსაჯი ვლჩეკი, რომელმაც იმოგზაურა სამხრეთ ამერიკაში. ჩვენ აქ არ მოვიყვანთ სხვა დაწვრილებით ამბებს ჩეხოსლოვაკელი მსაჯის წერილიდან, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ ქვეყნებში გამეფებულ ზნეჩვეულებებში არავითარი არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. სამხრეთ-ამერიკული საფეხბურთო ბატალიები კვლავ გრძელდება!

* * *

ცოტა სხვანაირ ვითარებაში ტარდება მატჩები ევროპის საფეხბურთო მოედნებზე. სამაგიეროდ, შედარებით მშვიდობიანი „ბრძოლების“ ფონზე აქ ფეხი გაიდგა ცოცხალი „საფეხბურთო საქონლით“ გაცხოველებულმა ვაჭრობამ. ამ მხრივ უკანასკნელ წლებში ყველას აჯობეს ფეხბურთის „ვარსკვლავთა“ შესყიდვის იტალიელმა სპეციალისტებმა.

დიდი თანხების მეოხებით მათ ჩრდილოეთიდან სამხრეთში გადაიყვანეს შვედური ფეხბურთის თითქმის ყველა „ვარსკვლავი“. ამაში ნათლად დარწმუნდებით, თუ გადახედავთ იტალიის ფეხბურთის მოწინავე გუნდების შემადგენლობებს. მაგალითად, იტალიის ჩემპიონის „მილანის“ შემადგენლობაში ნახავთ თავდასხმის განთქმულ სამეულს — გრეენს, ჰუნარ ნორდალს, ლინდ ხოლმს, ანუ გრენოლის, როგორც ამ სამეულს უწოდებს შემოკლებით შვედური პრესა.

„ინტერნაციონალეში“ თამაშობს შეგლუნდი, „იუვენტუსში“ — პრესტი. ამ, ჯერ კიდევ მოელვარე „ვარსკვლავების“ სიაში უნდა მივმატონ მათზე არანაკლებ პოპულარული მოთამაშეები ბერტელ და ანუდ ნორდალები, სუნდკვისტი, როზენი, ნილსონი, ანდერსონი, გერდტი, მელბერგი, ხალმერსონი.

მაგრამ იტალიელ მოვაჭრეებს მარტო შვედური საქონელი როდი აინტერესებთ. ამიტომაა, რომ „ინტერნაციონალეს“ შემადგენლობაში ყოველ მატჩზე მარჯვენა შუამარბის როლში გამოდის ჰოლანდიის ნაკრების მოთამაშე ვილკესი, ხოლო „იუვენტუსში“ თამაშობენ დანიის ცნობილი თავდამსხმელები კ. და ი. ხანსენები.

1951 წლის ოქტომბრის თვეში იტალიელებმა შეიძინეს ახალი ძვირფასი „საქონელი“: ნორვეგიის მეორე ნაკრები გუნდის კაპიტანი რაგნარ ლარსენი შესყიდულ იქნა კლუბ „ლაციოს“ მიერ 115 ათას კრონის ფასად. მან უკვე მოასწრო იტალიის პირველობაზე გამართულ მატჩში „პალერმოს“ წინააღმდეგ თამაში.

შვეიცის დიდი ფეხბურთის გუშინდელი გამოჩენილი წარმომადგენლები ჯეპსონი და პალმერი დღეს იცავენ ახალი ბატონების სპორტულ ღირსებას იტალიის ჩემპიონატში. პალმერი „მოხეტიალე“ თავდამსხმელის სახელს იმკვიდრებს „ლეგნანოს“ გუნდში, ხოლო შვედი მაყურებლების სიამაყე ჯეპსონი — „იტალანტეში“.

ყოველივე ზემოაღწერილი ნათლად მოწმობს ფეხბურთის საქმოსანთა ზნეჩვეულებებს კაპიტალისტურ ქვეყნებში. ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა, რაც იქ მასობრივ მოვლენად იქცა, კვლავ გრძელდება.

* * *

გ ანვლილი წლის საფეხბურთო სეზონი აღინიშნა მრავალი საერთაშორისო შეხვედრით. შევჩერდეთ 1951 წლის უკანასკნელ ამბებზე.

დიდი ინტერესით, მაღალ ტაქტიკურ-ტექნიკურ დონეზე ჩატარდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ფეხბურთელთა გუნდების მატჩები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა „ტურბინამ“ (ჰალე), რომელმაც მე-4 ადგილი დაიკავა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში, იმოგზაურა ჩეხოსლოვაკიაში. პირველ შეჯიბრებაში გერმანელები შეხვდნენ ძლიერ გუნდს — „ტრნავას“. უპირატესობა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის მხარეზე იყო და მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3. ბურთები გაიტანეს: ჩეხებმა სტურდიკმა და მარკომ (2), გერმანელებმა ვოზნიკოვსკიმ, ებერტმა და მილერმა.

მეორე მატჩი გერმანელებმა ჩაატარეს ქ. კოშიცეში ადგილობრივ „დინამოსთან“, რომელიც იმ დროისათვის ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონატში მე-3 ადგილზე იყო. სტუმრები მედგრად იცავდნენ თავს. შესვენებისათვის ანგარიში იყო 2:0 მასპინძელთა სასარგებლოდ, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში გერმანელთა თავდასხმის ცენტრის ვოზნიკოვსკისა და მარცხენა გარემარბის გოლს ბრწყინვალე თამაშმა ანგარიში გაათანაბრა. შემდეგ დინამოელებმა გააძლიერეს იერიში და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4:2.

უნგრეთის არმიელ ფეხბურთელთა გუნდმა „ჰონვედმა“ ადვილად დაამარცხა „ატკ“-ი (ჩეხოსლოვაკია) — ანგარიშით 6:2. კოჩიშმა გაიტანა 4, ხოლო პუშკაშმა და ხორვატმა თითო ბურთი. მატჩს სჯიდა გელევი (ბულგარეთი).

უყურადღებას იპყრობს უნგრელთა მარჯვენა შუამარბის კოჩიშის და მარცხენა შუამარბის პუშკაშის ჭეშმარიტად ვირტუოზული თამაში. ამას წინათ, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ეროვნული გუნდების მატჩში კოჩიშმა გაიტანა 2 ბურთი, ჩეხებმა უპასუხეს მხოლოდ 1 ბურთით (ეიეოდა „ვიტკოვიცედან“) და უნგრელებმა მოიგეს შეხვედრა — 2:1.

საინტერესო გამოდგა ჩრდილოეთის ქვეყნების ტურნირი, რომელშიც ყოველთვის მონაწილეობდნენ შვეიცის, დანიის, ნორვეგიისა და ფინეთის ნაკრები ეროვნული გუნდები. ნორვეგიელებმა ომისშემდგომ პერიოდში პირველად შეძლეს შვეიცის გუნდის დამარცხება — 4:3, მოუგეს დანიას (2:0) და ფრედ — 1:1 — დაამთავრეს შეხვედრა ფინელებთან. საბოლოოდ, ნორვეგიელებმა მოგროვეს 5 ქულა, დანიელებმა — 4, შვედებმა — 2 და ფინელებმა — 1.

შვეიცის საფეხბურთო წრეებში ვერ მალავენ თავიანთ გულისწყრომას, რაც გამოიწვია ამას წინათ კოპენჰაგენში დანიასა და შვეიცის შორის ჩატარებულმა შეხვედრამ. ამ მატჩის დანიელების მიერ მოგებამ (3:1) ბოლო მოუღო დასავლეთ ევროპაში შვედ ფეხბურთელთა ჰეგემონიის პრეტენზიებს.

კარგ შედეგებს მიაღწიეს ავსტრიელმა ფეხბურთელებმა. ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც ძირითადად შედგება ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერების „აუსტრიისა“ და „რაპიდის“ მოთამაშეებისაგან, საშინელი დამარცხება მიაყენა ბელგიის ნაკრებს — 8:1 და სულ მალე, ამ მატჩის შემდეგ, პარიზში სტადიონ „კოლომბზე“ ფრედ (2:2) დაამთავრა შეხვედრა საფრანგეთის ნაკრებთან. ავსტრიის მეორე ნაკრებმა დაამარცხა საარის გუნდი — 4:1.

დიდ წარმატებას მიაღწია როტერდამში ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ გამართულ მატჩში ფინეთის გუნდმა. შესვენებისათვის ანგარიში იყო 2:2, საბოლოოდ მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4.

საფრანგეთის პრესამ საკმაოდ დიდი ხმაური ატეხა ფრანგების მიერ ჟენევაში შვეიცარიის ნაკრებთან მოპოვებული გამარჯვების გამო—2:1.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ინგლისის, შოტლანდიის, უელსისა და ირლანდიის ეგრეთწოდებული „ეროვნული“ ნაკრები გუნდების შეხვედრებს. კარდიფში გამართული მატჩი უელსი—ინგლისი დამთავრდა ფრედ (1:1), ხოლო ბელფასტში შოტლანდიამ დაამარცხა ირლანდია — 3:0.

დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით ინგლისის ფეხბურთის გუნდი „არსენალი“ ყოველ წელს ხვდება შოტლანდიის სპორტკლუბ „გლაზგო რენჯერსს“ და პარიზის კლუბ „რესინგს“. ამჯერად, „არსენალის“ ფეხბურთელებმა მოიგეს ორივე შეხვედრა: „გლაზგოსთან“ — 3:2, ხოლო „რესინგთან“ — 5:0.

სპორტული მიმოხილვა

★

ს. ტიხონოვი

★ ★

გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

„არ აქცევენ ყურადღებას“

ამ სათაურით გაზეთ „ლელოს“ 1951 წლის 49-ე ნომერში მოთავსებული წერილი ეხებოდა სოფ. პირველი ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ შუშაობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებებს.

მიიაკოვსკის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ოკრიბელაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის კომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი. არჩეულია ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო ახალი შემადგენლობით, დაკომპლექტებულია ფეხბურთისა და ფრენბურთის გუნდები და სხვ.

* * *

წერილი განხილულია

გაზეთ „ლელოს“ 1951 წლის 48-ე ნომერში საქართველოს უძლიერეს მოკრივეთა პირად-გუნდურ პირველობისადმი მიძღვნილ წერილში „ახალგაზრდობის მზარდი ოსტატობა“ აღნიშნული იყო მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოამჟღავნეს ხოხუმელმა მოკრივეებმა.

ეს წერილი განხილულ იქნა აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საოლქო კომიტეტის მიერ.

როგორც აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ა. ჩაჩავა გვატყობინებს, მოკრივე ო. ჯაფარიძეს შეჯიბრებაზე საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელი ქცევისათვის მიეცა გაფრთხილება.

ქ. ხოხუმის მოკრივეთა გუნდში სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით თბილისიდან მწვრთნელად მიწვეულია სპორტის ოსტატი ბ. კალაძე. დასახულია აგრეთვე პრაქტიკული ღონისძიებანი მოკრივეთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12; დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“. ტელეფონი 8-90-34.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ № 14 ტირაჟი 30.000 УЭ 00204